სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობის პროცესი და მონიტორინგი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
0113 ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №8
www.procurement.gov.ge
info@procurement.gov.ge

სატენდერო კომისია

სატენდერო კომისიას ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი;

სატენდერო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

სატენდერო კომისიის მსჯელობა, კენჭისყრის შედეგები და გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა აისახოს სხდომის ოქმში;

ოქმი ხელმოწერისთანავე უნდა აიტვირთოს სისტემაში (გამონაკლისი სატენდერო პირობების დამტკიცების ოქმი).

სატენდერო დოკუმენტაცია

სატენდერო დოკუმენტაციას ამტკიცებს სატენდერო კომისია;

სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსება ხდება ელექტრონულად, კითხვარის სახით;

სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნები წესდება როგორც პრეტენდენტის, ასევე შესყიდვის ობიექტის მიმართ.

სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობისა და სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადები

150 000 ლარამდე ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში არანაკლებ 7 დღე (5 +2)

150 000 ლარის და მეტი ღირებულების ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში – არანაკლებ 10 დღე (7 + 3)

300 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – არანაკლებ 10 დღე (7 + 3)

300 000 ლარის და მეტი ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – არანაკლებ 20 დღე (15 +5)

კითხვა-პასუხის მოდული

მიმწოდებელს უფლება აქვს „კითხვა-პასუხის მოდულის“ მეშვეობით მოითხოვოს განმარტება სატენდერო პირობების კონკრეტულ ჩანაწერთან მიმართებაში;

სატენდერო კომისია ვალდებულია კითხვის დასმიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა გააკეთოს შესაბამისი განმარტება;

ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს უფლება აქვს მოითხოვოს განმარტება სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების თაობაზე;

სატენდერო კომისია ვალდებულია გააკეთოს შესაბამისი განმარტება გონივრულ ვადაში

ტენდერის სტატუსები და შესაბამის ეტაპებზე დოკუმენტების მოთხოვნის თანმიმდევრობა

ტენდერი გამოცხადებულია

წინადადებების მიღება დაწყებულია

წინადადებების წარდგენა/ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება

წინადადებების მიღება დასრულებულია

შერჩევა/შეფასება

ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება, ნიმუშის/ექსპერტიზის დასკვნის/ფასწარმოქმნის დოკუმენტის წარდგენა/შეფასება

გამარჯვებული გამოვლენილია

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი მოთხოვნა/წარდგენა/შეფასება

- ხელშეკრულების დასადებად პრეტენდენტის მოწვევა; ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნა, ხელშეკრულების გაფორმება, ხელშეკრულების სისტემაში ატვირთვა

მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება

ხელშეკრულება დადებულია

ფასების ცხრილის დაზუსტების ეტაპები

შერჩევა/შეფასების ეტაპზე

- 1. დასაზუსტებელია ფასების ცხრილი (ელ. ვაჭრობაზე დაფიქსირებული ფასის შესაბამისად განფასება) და ასევე ტექნიკური დოკუმენტაცია.
- 2. დასაზუსტებელია ფასების ცხრილი (ელ. ვაჭრობაზე დაფიქსირებული ფასის შესაბამისად განფასება) და ასევე წარმოსადგენია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი
- 3. დასაზუსტებელი ფასების ცხრილის მოთხოვნა ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის მოთხოვნასთან ერთად, ერთ-ერთი მათგანის წარდგენისთვის განსაზღვრულ ვადაში, სატენდერო კომისიის მითითების შესაბამისად.

- **ტენდერის გამარჯვებული გამოვლენილია ეტაპზე**
  - განფასებული ფასების ცხრილის წარმოდგენის მოთხოვნა ხორციელდება სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის მოთხოვნასთან ერთად

- **ტენდერის მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება ეტაპზე**
  - სატენდერო დოკუმენტაციით არ არის მოთხოვნილი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტები, პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტები სრულყოფილია, არ არის წარმოსადგენი ნიმუში და ფასწარმოქმნის ადეკვატურობა და მხოლოდ განსაფასებელია ფასების ცხრილი

ტენდერის მიმდინარეობის განსაზღვრული ვადები



სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის შეფასება

ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი ს წარმოდგენა

ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის შეფასება

ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება

დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება

ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა/შეფასების დაწყება

შენიშვნა: შესაბამისობის დადგენა ხორციელდება განსაზღვრული ვადის გასვლიდან, ხოლო ნიმუშის შემთხვევაში – მისი წარდგენიდან

დისკვალიფიკაციის ტიპები

- პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაციის შეუსაბამობა
- დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დოკუმენტის, ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა/შეუსაბამობა

პრეტენდენტს უბრუნდება წინადადების უზრუნველყოფის გარანტია

- სატენდერო წინადადებაზე უარის თქმა
- სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების წარმოუდგენლობა/შეუსაბამობა სატენდერო დოკუმენტაციასთან
- ხელშეკრულების დადებაზე უარი ან/და უარის სხვაგვარად გამოხატვა ხელშეკრულების დადებაზე
- ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედება

პრეტენდენტი კარგავს წინადადების უზრუნველყოფის გარანტიას

ხელშეკრულების შესრულების გარანტია და დაზღვევა

სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს;

ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 5%-ის ჩათვლით,
ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში - 2%-დან 10%-ის ჩათვლით.

დაუშვებელია მოთხოვნა თუ პრეტენდენტის ფასი ნაკლებია 200 000 ლარზე;

თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში აღნიშნული ოდენობა ნახევრდება. ასევე, შესაძლებელია მიმწოდებლის გარანტიის წარდგენისგან სრულად გათავისუფლება.

წინასწარი ანგარიშსწორების საბანკო გარანტია

წინასწარი ანგარიშსწორება ხორციელდება შესაბამისი საბანკო გარანტიის საფუძველზე;

საბანკო გარანტია წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობით;

თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში გარანტიის ოდენობა ნახევრდება;

წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია საბანკო გარანტის წარმოდგენის გარეშე თუ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლები.

ხელშეკრულება

ხელშეკრულება ფორმდება წერილობითი ფორმით;

ხელშეკრულების უცხოურ ენაზე დადების შემთხვევაში უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე;

ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, სატენდერო პირობებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად;

ხელშეკრულების დადება დაუშვებელია სამი სამუშაო დღის ვადაში;

ხელშეკრულება სისტემაში იტვირთება დადებიდან 10 დღის ვადაში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

გმადლობთ ყურადღებისთვის!

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
0113 ქ. თბილისი, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №8
www.procurement.gov.ge
info@procurement.gov.ge